

# ორბის ბუდე

## საქმიანობის შესახებ

სოციალური საწარმო “ორბის ბუდე” 2022 წელს დაარსდა სამშვილდეში. მხარით დაინტერესებული მოგზაურების გაზრდილმა რაოდენობამ გააჩინა იდეა, შექმნილიყო სივრცე, სადაც სტუმრები შეძლებდნენ ღამის გათევას, დასვენებას, ადგილობრივი ტრადიციების გაცნობასა და კერძების გასინჯვას. დამატებით, სივრცე ხელს უწყობს ადგილობრივების დასაქმებას, რომლებიც სამშვილდეში ჩასულ სტუმრებს სამოგზაურო მარშრუტების შერჩევასა და პროფესიონალ მეგზურთან ერთად საინტერესო ადგილების დალაშქვრას სთავაზობენ. “ორბის ბუდეში” მისულ სტუმრებს ასევე შესაძლებლობა აქვთ, თბილისიდან 1.5 საათის სავალ გზაზე მოინახულონ არაერთი ისტორიული ადგილი და  განიტვირთონ ჯანსაღ გარემოში.

## მომსახურება

„ორბის ბუდე” მოგზაურებს სთავაზობს განსაკუთრებულ სივრცეს, რომელიც ისტორიული მარშრუტების გზამკვლევი და ახალი, საინტერესო აქტივობების აღმოჩენის ადგილია.
ამასთან, მათი მომსახურების ჩამონათვალშია:

- **დასასვენებელი სივრცე სამშვილდეში, სხვადასხვა გასართობი და შემეცნებითი შესაძლებლობით**
- **ადგილობრივი სამზარეულო (მასტერკლასები)**
- **ტურისტული მარშრუტები და მეგზურობა**









## სოციალური შედეგები

„ორბის ბუდემ" ფუნქციონირება 2022 წელს დაიწყო და შესაბამისად, ჯერჯერობით ხელშესახები სოციალური შედეგები არ გააჩნია, თუმცა მისი საქმიანობით სურს თემში სამოქალაქო აქტივიზმის დანერგვა და გაზრდა.

+995 598 350 931

orbisbude@gmail.com

თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი

lusodosti28@gmail.com